განმარტებითი ბარათი

მოგეხსენებათ, რომ პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის №56-ე მუხლის თანახმად, თუ მოქმედი ტექნიკური რეგლამენტებიდან რამდენიმე ალტერნატიულად არეგულირებს ერთსა და იმავე პროდუქტს ან/და პროცესს, საკმარისია ნებისმიერ მათგანთან შესაბამისობა. ამავე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, თუ ერთი და იმავე პროდუქტის ან/და პროცესის მიმართ შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს რამდენიმე ალტერნატიული ტექნიკური რეგლამენტის უსაფრთხოების უზრუნველმყოფი მახასიათებლები, გამოყენებული უნდა იქნეს მხოლოდ ერთ-ერთი, შერჩეული ტექნიკური რეგლამენტი. დაუშვებელია ერთი და იმავე პროდუქტის ან/და პროცესის მიმართ სხვადასხვა ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული მახასიათებლების აღრევა/კომბინაცია.

ამას გარდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს უფროსის №09/1459 18/09/2017წ. წერილის თანახმად, მკაფიოდ განმარტებულია ის გარემოება, რომ ცალკე აღებული ბენზინგასამართი სადგური წარმოადგენს საწარმოს და მისი ძირითადი ფუნქციაა ავტოსატრანსპორტო საშუალებების საწვავით გამართვა. ამავე წერილზე დაყრდნობით მსგავსი ტიპის ობიექტების უსაფრთხო განთავსება და ექსპლუატაცია რეგულირდება საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №60 დადგენილებით დამტკიცებული „ავტოგასამართი სადგურების და ავტოგასამართი კომპლექსების უსაფრთხოების ტექნიკური რეგლამენტით.

აქვე განვმარტავთ, რომ წარმოდგენილი ბენზინ და დიზელ გასამართი სადგური არ მოიცავს საწვავის გამანაწილებელ საწარმოს (რასაც უშუალოდ არეგულირებს საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება და რომლის შესახებაც აღნიშნულია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს უფროსის №09/1459 18/09/2017წ. წერილში). აღნიშნულის შესაბამისად და პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსზე დაყრდნობით, საპროექტო ობიექტის უსაფრთხოების ნორმების დასაცავად ვირჩევთ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №60 დადგენილებით დამტკიცებული „ავტოგასამართი სადგურებისა და ავტოგასამართი კომპლექსების უსაფრთხოების შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტს და აღნიშნულის საფუძველზე მშენებლობის ნებართვის გაცემას.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №60 ტექნიკური რეგლამენტით რეგულირდებოდა ავტოგასამართი სადგურების უსაფრთხოების წესები №41-ე დადგენილების ამოქმედებამდე და ამავე რეგლამენტის საფუძველზე დღეის მდგომარეობითაც ხელმძღვანელობს სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოც.

პროექტის ავტორი
დ.ვერულავა